

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ ვადაში, გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. მხარის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.